ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6356039

ნომერი: AR1951451

თარიღი : 04.03.2023

გაცემის თარიღი : 13.03.2023

გაცნობის თარიღი : 13.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი თავისუფლება , N4; ქალაქი თბილისი , მოედანი თავისუფლება , N4 , (ნაკვ.66/10); ქალაქი თბილისი , მოედანი თავისუფლება , N4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ თავაძე პ/ნ 01026008927
- თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 1 ბ. 77

ნომენკლატურა :

- ოფისი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საოფისე შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლანა ჩაკვეტაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს „არკო“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405038739

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ე.ს.ა. “ავტოფარეხი -2“ / ე.ს.ა.“თავისუფლების მოედანი-4“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204530757.205209193

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ოლეგი ვადაჭკორია; ნიკოლოზ ტურაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01015004392; 01026008773

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 5301191
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 12.03.2021

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2021 წლის12 მარტის № 5301191 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2021 წლის12 მარტის № 5301191 ბრძანებით შეთანხმდა ქ. (სექტორი-მთაწმინდა), თავისუფლების მოედანი N4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.15.05.066.033; №01.15.05.066.034 და №01.15.05.066.037) ოფისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 12 მარტიდან 2023 წლის 12 მარტის ჩათვლით;

2023 წლის 04 მარტის AR1951451 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. გურამ თავაძემ და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2021 წლის 12 მარტის №5301191 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 12 მარტის № 5301191 ბრძანებასა და სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 12 მარტიდან 2023 წლის 12 მარტის ჩათვლით " შეიცვალოს ,, ნებართვა ძალაშია 2023 წლის 13 მარტიდან 2025 წლის 13 მარტის ჩათვლით'';
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 12 მარტის № 5301191ბრძანებასთან ერთად;

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.